მეკარეებმა თავდამსხმელებს აჯობეს

დონის როსტოვი. ასკ-ს სტადიონი. 17 სექტემბერი.

ასკ (დონის როსტოვი) _ “დინამო” (თბილისი) _ 0:0.

ასკ: კუდასოვი, სეროსტანოვი, შერგელაშვილი, მოგილნი, ალექსანდროვი, აფონინი, ანტონოვი, ესკოვი, ბონდარენკო (ჩიხლაძე), მასლიაევი (ჩურკინი), ციბინი.

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი (გავაშელი), პეტრიაშვილი, მაჩაიძე, ასათიანი, ყიფიანი, გ. ნოდია, ლ. ნოდია (გუცაევი).

მსაჯი: მ. მკრტჩიანი (ერევანი).

დუბლიორები _ 1:1 (მასპინძელთაგან გოლი გაიტანა ჩურკინმა, სტუმართაგან _ კუტივაძემ).

ორივე გუნდი თავგამოდებით იბრძოდა კარის ასაღებად, მაგრამ ყოველივე ამაო გამოდგა: ორივე მეკარემ _ გოგიამაც და კუდასოვმაც მართლაც ბრწყინვალედ ითამაშეს და ბევრჯერ იხსნეს კარი აშკარა გოლისგან.

ეს უგოლო მატჩი მწვავედ, მაღალ ტემპში წარიმართა. თავდამსხმელებმა ტექნიკურად, ლამაზად ითამაშეს, მაგრამ ამ დღეს მინდვრის ბატონ-პატრონნი მეკარეები იყვნენ.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 19 სექტემბერი, 1972 წ.